წერილის ნომერი: **30-302136356**
თარიღი: **29/12/2021**
პინი: **5099**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისთვის 2021-2022 წლებში განსაკარგი ჯამური თანხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის №920 განკარგულების შესაბამისად. განსახილველად და მოსაწონებლად, წარმოგიდგინეთ ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

გთხოვთ, განიხილოთ და მოიწონოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2021 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის 2021 - 2022 წლებში განსაკარგავი ჯამური თანხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის N928 განკარგულების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „2022 წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეგ. ნინოშვილის სახლ მუზეუმში და გრიგოლეთში	150000
	სულ:	150000